

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №64
2019 წლის 22 მარტი

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №53 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/12/2018, 190020020.35.139.016311)

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი

თავი I

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I. შემოსავლები	21,500.3	19,417.9	2,082.3	22,061.3	19,826.4	2,234.9	21,881.3	18,260.0	3,621.3
გადასახადები	7,209.1	7,209.1	0	7,483.3	7,483.3	0	7,175.0	7,175.0	0
გრანტები	2,272.3	190.0	2,082.3	2,588.5	353.6	2,234.9	3,811.3	190.0	3,621.3
სხვა შემოსავლები	12,018.8	12,018.8	0	11,989.5	11,989.5	0	10,895.0	10,895.0	0
II. ხარჯები	11,000.5	10,945.60	54.9	11,741.2	11,741.2	0	15,099.7	14,570.4	529.3
შრომის ანაზღაურება	1,649.1	1,649.1	0	1,744.0	1,744.0	0	2,099.6	2,099.6	0
საქონელი და მომსახურება	2,145.3	2,099.8	45.4	1,849.4	1,849.4	0	2,570.8	2,559.8	11.0
პროცენტი	21.2	21.2	0	65.1	65.1	0	33.5	33.5	0
სუბსიდიები	4,752.7	4,752.7	0	5,744.8	5,744.8	0	6,656.2	6,656.2	0



გრანტები	130.8	130.8	0	75.7	75.7	0	111.0	111.0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1,355.9	1,355.9	0	1,681.4	1,681.4	0	1,618.1	1,618.1	0
სხვა ხარჯები	945.4	936.0	9.45	580.8	580.8	0	2,010.4	1,492.2	518.2
III. საოპერაციო სალდო	10,499.7	8,472.3	2,027.4	10,320.1	8,085.2	2,234.9	6,781.6	3,689.6	3,092.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8,719.1	6,477.2	2,241.9	8,497.4	6,258.0	2,239.4	13,687.8	10,348.3	3,339.4
ზრდა	8,807.0	6,565.2	2,241.9	9,257.2	7,017.7	2,239.4	13,727.8	10,388.3	3,339.4
კლება	87.9	87.9	0	759.7	759.7	0	40.0	40.0	0
V. მთლიანი სალდო	1,780.6	1,995.1	-214.4	1,822.7	1,827.2	-4.6	-6,906.1	-6,658.8	-247.4
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1,688.3	1,902.7	-214.4	1,746.6	1,751.1	-4.6	-6,989.2	-6,741.8	-247.4
ზრდა	1,902.7	1,902.7		1,751.1	1,751.1	0	0		
კლება	214.4		214.4	4.6	0	4.6	6,989.2	6,741.8	247.4
							0		
VII. ვალდებულებების ცვლილება	-92.3	-92.3		-76.1	-76.1		-83.0	-83.0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
საშინაო	0						0		
კლება	0	0	0	0	0	0	0	0	0
საშინაო	92.3	92.3		76.1	76.1		83.0	83.0	
	0						0		
VIII. ბალანსი	0	0.00	0.00	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
		მათ შორის	მათ შორის	მათ შორის



		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	21,588.2	19,505.9	2,082.3	22,821.0	20,586.1	2,234.9	21,921.3	18,300.0	3,621.3
შემოსავლები	21,500.3	19,417.9	2,082.3	22,061.3	19,826.4	2,234.9	21,881.3	18,260.0	3,621.3
არაფინანსური აქტივების კლება	87.9	87.9	0	759.7	759.7		40.0	0	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)	0		0	0			0		
ვალდებულებების ზრდა									
გადასახდელები	19,899.9	17,603.1	2,296.8	21,074.5	18,835.0	2,239.4	28,910.5	25,041.8	3,868.7
ხარჯები	11,000.5	10,945.6	54.96	11,741.2	11,741.2	0	15,099.7	14,570.4	529.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,807.0	6,565.2	2,241.9	9,257.2	7,017.7	2,239.4	13,727.8	10,388.3	3,339.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0			0			0		
ვალდებულებების კლება	92.3	92.3	0	76.1	76.1	0	83.0	83.0	0
ნაშთის ცვლილება	1,688.3	1,902.7	-214.4	1,746.6	1,751.1	-4.555	-6,989.2	-6,471.8	-247.4

თავი II

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 21,921.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	21,500.3	19,417.9	2,082.3	22,061.3	19,826.4	2,234.9	21,881.3	18,260.0	3,621.3
გადასახადები	7,209.1	7,209.1	0	7,483.3	7,483.3	0	7,175.0	7,175.0	0
გრანტები	2,272.3	190.0	2,082.3	2,588.5	353.6	2,234.9	3,811.3	190.0	3,621.3
სხვა შემოსავლები	12,018.8	12,018.8	0	11,989.5	11,989.5		10,895.0	10,895.0	



მუხლი 3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 7,175,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	სულ	2018 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	7,209.1	7,209.1	0	7,483.3	7,483.3	0	7,175.0	7,175.0	0
საშემოსავლო გადასახადი	876.0	876.0		677.4	677.4		0.0	0	
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0			0			975.0	975.0	
ქონების გადასახადი	6,333.1	6,333.1	0	6,806.0	6,806.0	0	6,200.0	6,200.0	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,865.5	3,865.0		3,968.7	3,968.7		4,520.0	4,520.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	257.1	257.1		278.4	278.4		400.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	341.3	341.1		428.8	428.8		30.0	30.0	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	139.7	139.7		54.4	54.5		100.0	100.0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,729.6	1,729.6		2,075.5	2,075.5		1,150.0	1,150.0	

მუხლი 4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3,811.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	2,272.3	2,588.5	3,811.3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190.0	172.5	201.0
კაპიტალური ტრანსფერი	2,082.3	2,416	3,140.3

მუხლი 5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 10,895,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	12,018.8	11,989.5	10,895.0
შემოსავლები საკუთრებიდან	8,933.9	9,017.5	8,730.0
პროცენტები	772.9	873.6	730.0
რენტა	8,160.9	8,143.8	8,000.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	18,109.0	8,073.4	7,960.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	52.0	70.5	40.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,866.8	1,804.1	1,530.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,804.3	1,694.2	1,490.0
სანებართვო მოსაკრებელი	196.8	297.9	150.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0	0	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.6	0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,235.0	1,000.0	1,000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	372.2	395.6	340.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0	0	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	62.5	109.9	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	478.4	373.9	385.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	739.7	794	250.0

თავი III

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 6. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 15,099.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა			
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის			
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი



			ტრანსფერები		ტრანსფერები		ტრანსფერები		ტრანსფერები
ხარჯები	11,000.5	10,945.6	54.9	11,741.2	11,741.2	0	15,099.7	14,570.4	529.3
შრომის ანაზღაურება	1,649.1	1,649.1	0	1,744.0	1,744.0	0	2,099.6	2,099.6	0
საქონელი და მომსახურება	2,145.3	2,099.8	45.4	1,849.4	1,849.4	0	2,570.8	2,559.8	11.0
პროცენტები	21.22	21.22	0	65.1	65.1	0	33.5	33.5	0
სუბსიდიები	4,752.7	7,752.7	0	5,744.8	5,744.8	0	6,656.2	6,656.2	0
გრანტები	130.8	130.8	0	75.7	75.7	0	111.0	111.0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1,355.9	1,355.9	0	1,681.4	1,681.4	0	1,618.1	1,618.1	0
სხვა ხარჯები	945.5	935.9	9.5	580.8	580.8	0	2,010.4	1,492.2	518.2

მუხლი 7. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13,687.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 13,727.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	10.8	108.6	117.5
01 01	წარმომადგენლობითი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	0	3.3	0
01 02	აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის დაფინანსება	10.8	105.2	117.5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8,025.3	8,751.7	10,401.8
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	4,822.6	5,028.4	4,725.9
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,010.5	1,697.5	2,506.3
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	714,0	868.9	2,121.6
03 05	სოფლის მხადრაჭერის პროგრამა	69.3	16.2	848.0
03 07	სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	408.5	1,157.0	200.0
04 00	განათლება	623.5	259.0	1,675.2



04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	623,5	259.0	1,675.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	147.5	130.3	1,533.3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	59.5	46.6	717.5
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	87.9	83.7	815.8
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	7.6	0,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0.0	1.3	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	0.0	6.3	0.0
	სულ ჯამი	8,807.0	9,257.2	13,727.8

ბ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 40,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	87.9	759.7	40.0
ძირითადი აქტივები	0,0	359.0	20,0
არაწარმოებული აქტივები	87.9	400.7	20.0
მიწა	87.96	400.7	20.0

მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,574.3	2,797.3	3,520.9
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,519.2	2,732.1	3,452.4
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,519.2	2,723.6	3,253.7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	85.3	198.7
7.1.1.3	საგარეო ურთიერთობები			



7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	0	0	0
7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	21.2	65.1	33.5
7.1.7	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის			
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	33.8	40.0	35.0
7.2	თავდაცვა	90.8	106.9	101.5
7.2.1	შეიარაღებული ძალები			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	0	0	0
7.2.3	საგარეო სამხედრო დახმარება			
7.2.4	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში			
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში			
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
7.3.1	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7.3.2	სახანძრო-სამაშველო სამსახური			
7.3.3	სასამართლოები და პროკურატურა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4,939.3	6,234.8	5,284.9
7.4.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	0	0
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა			
7.4.3	სათბობი და ენერგეტიკა			
7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
7.4.5	ტრანსპორტი	4,897.3	6,190.2	5,225.9
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,897.3	6,190.2	5,225.9
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0	0	0
7.4.6	კავშირგაბმულობა			
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები			
7.4.8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში			



7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში		44,632	59,0
7.5	გარემოს დაცვა	710.7	1,999.2	1,247.9
7.5 1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	36.6	1,604.1	71.0
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	439.5	39,0	138.1
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0	0	0
7.5 4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	234.5	356.8	1,038.8
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,819.5	3,501,8	8,551.8
7.6 1	ბინათმშენებლობა	717.6	240.3	1,307.6
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0	0	0
7.6 3	წყალმომარაგება	252.6	708.2	989.1
7.6 4	გარე განათება	488.6	803.6	624.2
7.6 5	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში			
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	4,360.8	1,749.7	5,630.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	91.4	105.7	136.4
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება	11.4	17.4	20.0
7.7 3	საავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.0	88.4	86.4
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0	0	30.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,111.7	2,292.8	3,752.2
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	813.5	919.6	2,265.5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,132.9	1,181.2	1,283.7
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა			
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	159.1	0
7.8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	32.8	203.0
7.9	განათლება	1,887.6	2,049,0	4,369.74
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,832.1	2,017.5	3,627.3
7.9 2	ზოგადი განათლება	0	31.5	0
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0	0	0



7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება		31.5	
7.9.3	პროფესიული განათლება			
7.9.4	უმაღლესი განათლება			
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			742.1
7.10	სოციალური დაცვა	1,582.3	1,910.2	1,862.4
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	788.4	1,048.3	848.3
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0	0	0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	378.2	600.283	500.7
7.10.5	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა		1,560.0	2.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0	0	0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	415.7	260.065	458.9
	სულ	19,807.6	20,998.4	28,827.4

თავი IV

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 9. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 6,906.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 6,989.2 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ზრდა	1,902.7	0	0.0
სესხები	0	0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0.0

3. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 6,989.2 ათასი ლარის



ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	214.4	5,538.5	6,989.2
ვალუტა და დეპოზიტები	214.4	4.6	6,989.2
სესხები	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0

მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

- განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 83.0 ათასი ლარის ოდენობით.
- განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0

- განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 83.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	92.3	76.1	83,0
საშინაო	92.3	76.1	83,0
სესხები	0	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0	0

- განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის 116.5 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი		საპროგნოზო ნაშთი 31.12.2019
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა		116.5
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	116.5
2	ფინანსთა სამინისტროსგან აღებული მოკლევადიანი სესხი	0



მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 198.7 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

1. ინფრასტრუქტურა;
2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
3. განათლება;
4. წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ხელისუფლება;
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
6. თავდაცვა.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც წინაპირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებისა.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის პროგრამა (03 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს 5000 კვ. კმ. საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 23 პროცენტი. მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 50 პროცენტის მშენებლობა-რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დახაზვას, შუქნიშნების და სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების მონტაჟს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, გზების, ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, კაპიტალური მშენებლობა, მოვლა-პატრონობა.

1.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (03 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

ქვეპროგრამის აღწერა: აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქ. ბორჯომში ე.წ. „დიდი მინდორის“ სკვერთან მისასვლელი ჩიხის რეაბილიტაცია ასფალტის საფარით, სოფ. ცემში ჩიხების რეაბილიტაცია, დაბა ბაკურიანში ქუმარიტაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. ცემიდან სოფ. ტბამდე საავტომობილო გზისა და სოფელ ტბის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, სოფ. ქვაბისხევში და ჭობისხევში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, დაბა ახალდაბაში წერეთლის ქუჩის, ყაზბეგის ქუჩის და სოფ. რველში ე.წ. „ბანიხევში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, დაბა წაღვერში თბილისის ქუჩისა და სოფ. მზეთამზეში



შიდა ჩიხების რეაბილიტაცია, სოფ. ტაძრისში და სოფ. საკირეში გზების რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, სოფ. ზანავში, ვარდგინეთასა და საკირეში გზების რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში გზების რეაბილიტაცია, დაბა წალვერში თავისუფლების ქუჩის და სოფელ დაბაში გზის რეაბილიტაცია, დაბა ბაკურიანში ბასიანის, ლებანიძის, ახალმენის თორის და ხერგიანის ქუჩების რეაბილიტაცია, დაბა ბაკურიანში შიდა გზების რეაბილიტაცია, ცხრაწყაროს უღელტეხილიდან სოფელ ბალანთამდე გზის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში მესხეთის ქუჩა №146-ში ასფალტბეტონის საფარის მოწყობა, სოფ. ყვიბისში „პირველი უბნის“, „საჯვარეს“ და „კაჭუნაშვილების უბნების გზის რეაბილიტაცია. ქ. ბორჯომში პეტრიწის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში თორის ქუჩა № 57-60-ის მიმდებარე ჩიხების რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩა №13-ში, გამარჯვების ქუჩა №101-ში გზის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში გოგინასციხის ქუჩა № 44,46,48,50-ში ჩიხის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში №4 საბავშვო ბაღთან მისასვლელი ჩიხის რეაბილიტაცია, სოფ. კორტანეთში საერთო დანიშნულების გზიდან სოფ. კორტანეთის ხიდამდე მისასვლელი გზის, სტადიონის მიმდებარედ, გვერდის უბანში გზის რეაბილიტაცია, დაბა ბაკურიანში სასტუმრო „მელისის“ უკან გზის რეაბილიტაცია, ბორჯომის რაიონი სოფ. რველში ე.წ. „კომკის უბანში“ და ქ. ბორჯომში ვაშლოვანის ქუჩის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში პეტრიწის ქუჩის, თორის ქ. №57-60-ის მიმდებარე ჩიხების, რობაქიძის ქ. №13-ში, №4 საბავშვო ბაღთან მისასვლელი ჩიხის და ვაშლოვანის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ბორჯომი-ახალქალაქის საზღვრიდან სოფლების – ჭიხარულასა და ბალანთას გავლით ასფალტბეტონის საფარის მოწყობა.

1.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება (03 01 02)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფეხითსავალი ნაწილის მოწყობა სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ, რუსთაველის ქუჩაზე ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია (მოაჯირების მოწყობა), გამსახურდიას ქუჩა (მარცხენა და მარჯვენა ტროტუარი კოსტავას ქუჩის მიმართულებით), აღმაშენებლის ქუჩა, ქ. ბორჯომში სააკაძის №7-ში ფეხითსავალი ნაწილის და პარკინგის მოწყობა.

1.1.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (03 01 03)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბორჯომში, სოფ. ყვიბისში, სოფ. რველში (ბანისხევი) და დაბა ახლადაბაში ხიდების რეაბილიტაცია, კოსტავას ქუჩაზე, მდინარე ბორჯომულაზე გადასასვლელი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.

1.1.4 გარე ვიდეოსამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შექმნა-დამონტაჟება (03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი.

1.1.5 საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა (03 01 05)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრეების, მოსაცდელების, მოაჯირების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება, ასევე განხორციელდება გზების და ხიდების გაწმენდა თოვლისა და ყინულისაგან.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02)

პროგრამის მიზანი: გამართული და უსაფრთხო კომუნალური ინფრასტრუქტურა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოება, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, საყრდენი კედლების მოწყობა.

1.2.1 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (03 02 01)



ქვეპროგრამის მიზანი: კომუნალური და სანიტარიული პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია, კერძოდ: დაბა ახალდაბაში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. ყვიბისის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. ტიმოთესუბანში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, სოფ. საკირეში, ტაძრისში, დვირში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. სადგერში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია და ქსელის მოწყობა, სოფ. ტბაზე კანალიზაციის ქსელის მოწყობა, სოფ. ჭობისხევში, ტაძრისსა და დვირში სასმელის წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. მზეთამზეში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ქ. ბორჯომში თორის ქ. №10,13,14,15-ში გოგიას ციხის №3,5,7-თან და ზაქარიადის ქუჩა №3-ის შესახვევში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია. აღმაშენებლის ქუჩაზე ფინურ ბინებთან საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. ზანავში სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოწყობა, სოფლებში – ანდეზიტი, ციხისჯვარი, ცემი და ტბა – სასმელი წყლის რეაბილიტაცია.

1.2.2 არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (03 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები.

ქვეპროგრამის აღწერა: განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (მათ შორის მერიის შენობა, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების შენობები (დაბა ახალდაბის და დაბა წაღვერის), დ. ბაკურიანში ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე და „25“-თან არსებული ტუალეტების რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

1.2.3 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა (03 02 04)

ქვეპროგრამის მიზანი: ბინათმესაკუთრეთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა

ქვეპროგრამის აღწერა : ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფასადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიშენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით. სახურავების რეაბილიტაცია განხორციელდება: ქ.ბორჯომში გამსახურდიას ქ. №2-ში №3-ში, წმ. ნინოს ქ. № 35-ში, ზეინკლიშვილის №7-სა ფიროსმანის ქ. №16, №4, რუსთაველის №3, №111, №87, №89, თორის №118, №120, №6, აღმაშენებლის №32, ფიროსმანის, შანიძის №7, №9, კოსტავას № 39, პეტრიწის №9, გიორგი აბრამაშვილის №1, გორგასალის №33, მესხეთის №9, №39, გამარჯვების №93, შანიძის №22, ვაჟა-ფშაველას №4. სადარბაზოების რეაბილიტაცია განხორციელდება: წმ. ნინოს ქ. №9-ში ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის და რუსთაველის ქ. №115, №87, №89, შანიძის №9, გურამიშვილის №6. ლიფტების რეაბილიტაცია განხორციელდება: ამხანაგობა „პლატო“, „დიდველი“, რუსთაველის №69, ეზოს კეთილმოწყობა განხორციელდება „ფიროსმანის ქ. №16-ში, ფასადების რეაბილიტაცია განხორციელდება: შანიძის ქ. №20, ერეკლეს №25-ში, რუსთაველის ქ. № 3-ში და 73-ში, გურამიშვილის №6. ასევე მოხდება მესხეთის №39 კორპუსის გამაგრება, გორგასალის №3-ში შენობის რეაბილიტაცია და ვაჟა-ფშაველას №4-ში კიბეების რეაბილიტაცია.

1.2.4 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია(03 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი: უსაფრთხო ინფრასტრუქტურული გარემო.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწყობა; კერძოდ: გურამიშვილსა და ორბელიანის ქუჩებს შორის საყრდენი კედლის მოწყობა, ქ. ბორჯომში და სოფელ ყვიბისში საყრდენის კედლების რეაბილიტაცია, სოფელ ცემსა და ტიმოთესუბანში რკინაბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა, საკირეში საყრდენის კედლის მოწყობა, სოფ. ტაძრისში გზის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა; ბორჯომში, ნიკოლაძის №14-ში, აღმაშენებლის №4-ში, ბესიკის №9-ში, თორის №62- ში, მაზიაშვილის ქუჩაზე საყრდენი კედლების და სოფელ ყვიბისში გაბიონის მოწყობა, ორბელიანის №5-ში, ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევის №1-ში, გოგიასციხის №4-ში, მესხეთის № 11-ში, 9 აპრილის №7-ში, წმ. ნინოს 31-ში და თორის №40-ში საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში მესხეთის ქუჩა წმ. გაბრიელ სალოსისა და აღმსარებლის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ,



მესხეთის ქ. №7-ში არსებული მოზაიკის კედლის რეაბილიტაცია, სოფ. ყვიბისში კაჭუნაშვილების უბანში ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა.

1.2.5 ნაგავზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა (03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სანაგვე ურნების შესყიდვა.

1.2.6 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02 07)

ქვეპროგრამის მიზანი: განათებული მუნიციპალიტეტი.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება გარე-განათების ქსელის გაფართოება, ახალ ქსელზე დაერთება (კერძოდ: ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე გარე განათების ქსელის გაფართოება, მოწყობა ე.წ. „დიდი მინდორის“ სკვერთან მისასვლელი გზის გარე განათება).

1.2.7 სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა, ჭურჭლის შექმნა, სასაფლაოების და ეკლესიების შემოღობვა (03 02 08)

ქვეპროგრამის მიზანი: სარიტუალო ღონისძიებების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, სასაფლაოების შემოღობვა (სოფ. კორტანეთში სასაფლაოს შემოღობვა).

1.2.8 ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა (03 02 11)

პროგრამის მიზანი: „ბორჯომი სისუფთავის ქალაქი“ – ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების დროულად გატანა და მოსახლეობისათვის კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევა.

პროგრამის აღწერა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, ტროტუარების სავალი ნაწილის დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება-გაწმენდა, ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა და კირით შეწამვლა, ფანტანების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება, ქ. ბორჯომში მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერების დეზინსექციისა და დეზინფექციის მომსახურება, ყველა სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2.9 ბორჯომის გარე განათება (03 02 12)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ქალაქში ჩამოსული ვიზიტორებისათვის ღამის საათებში განათებულ ქალაქში გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოების განხორციელება. განათებასთან დაკავშირებით სარემონტო აღდგენითი სამუშაოები და სადღესასწაულო დეკორატიული გარე განათების მონტაჟი-დემონტაჟი.

1.2.10 ა(ა)იპ – ბორჯომის სოფლის წყალი (03 02 13)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის მუდმივი და ხარისხიანი წყლის მიწოდება.

პროგრამის აღწერა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების წყალსადენის ქსელის და სათავე ნაგებობების ექსპლოატაცია, მოვლა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ახალის ქსელის გაყვანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ასევე სათავე ნაგებობის შემკრების მოვლა-პატრონობა, გაწმენდა და დაქლორვითი სამუშაოების ჩატარება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (03 03)



მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლა-პატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება, რეაბილიტაცია, რათა მოსახლეობას მიეცეს სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცეების, სკვერების, ატრაქციონების, სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, სასაფლაოების მოვლა, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსება, ასევე მოხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ზედამხედველობის ხარჯების ანაზღაურება.

1.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია (03 03 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა (ქ. ბორჯომში მესხეთის ქუჩაზე, გამარჯვების ქუჩაზე, ქეთევან წამებულის, ნინოშვილის, რობაქიძის ქუჩებზე და სოფ. დაბაში სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია).

1.3.2 ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (03 03 02)

ქვეპროგრამის მიზანი: ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტებისათვის კომფორტული მოსასვენებელი გარემოს შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია. კერძოდ: ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე ე.წ „მტრედის ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ლიკანში მესხეთის ქ. 29, 31-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ. ბორჯომში ახალ უბანში, არდაგანის დასახლებაში ფინური ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ. ბორჯომში გამარჯვების და პეტრიწის ქუჩების კვეთაზე, სოფ. ცეშში, დაბა წაღვერში, ქ. ბორჯომში რუსთაველის, გორგასალის ქუჩებზე, სოფ. ლიკანში, ახალი უბნის ტყის მიმდებარედ. სოფლებში: ტბა, ტაძრისი და დაბა ახალდაბაში ასევე მოეწყობა ფანჩატურები და განხორციელდება სკამების შექმნა.

1.3.3 სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (03 03 04)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიწოდება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, კერძოდ: საფლავებზე მისასვლელი ბილიკის დაგვა-დასუფთავება; საჭირო სამუშაო იარაღებითა და ინვენტარით უზრუნველყოფა; მუშა-მესაფლავების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა; ბალახის, ბუჩქების და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შექმნა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება.

1.3.4 სამშენებლო, სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (03 03 05)

ქვეპროგრამის მიზანი: ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

1.3.5 ბორჯომის გამწვანება 2012 (03 03 06)



პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, ბაღების, პარკების და გაზონების მოწესრიგება, ყვავილებით და მარადმწვანე დეკორატიული მცენარეებით შევსება და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქში არსებული ბაღების, პარკებისა და სკვერების შევსება ყვავილებითა და მარადმწვანე, ფოთოლმცვენი სხვადასხვა დეკორატიული მცენარით. ჩატარდება მარადმწვანე ხემცენარეების მავნებელებისა და დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); მოხდება ხემცენარეების გასუფთავება ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, შემობარვა, მორწყვა, გასხვლა, ნაგვის შეგროვება და მათი გატანა. გაზონების დასუფთავება, ორგანული სასუქის შეტანა მრავალწლიანი ბუჩქების ძირებში, ასევე საყვავილე კლუმბებში, მოხდება მინერალური სასუქის შეტანა ყვავილნარებში, მრავალწლიან მცენარეთა ირგვლივ და ბალახის გაზონებში.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (03 05)

პროგრამის მიზანი: სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარმართება სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად.

1.5 ტრანსპორტის სუბსიდირება (03 06)

პროგრამის მიზანი: სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის აღწერა: სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება, მუნიციპალური სერვისის განვითარება, ტექნიკურად გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფა მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტულად მომსახურებისათვის. სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება დროულად და უსაფრთხოდ, სპეცტექნიკით (ტრაქტორები) ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება.

1.6 სატრანსპორტო საშუალებების შეძენა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა.

2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

2.1 სპორტის სფეროს განვითარება(05 01)

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება- პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მომზადება და მონაწილეობა ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები; სპორტის



სხვადასხვა სახეობის სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია. სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა. პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარებაზე და სპორტსმენტთა მივლინებაზე საერთაშორისო ტურნირებზე; განხორციელდება ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია და ქალთა სპორტის განვითარება, ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება, სპორტსმენტთა ეკიპირებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობაში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

2.1.1 ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა (05 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი: ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული სექციების და კლუბების მხარდაჭერას, რომლის მიზანია პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური მოზიდვა და ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული სექციების და კლუბების განვითარებას.

2.1.2 სპორტული ღონისძიებები (05 01 02)

ქვეპროგრამით 2019 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- სასკოლო სპორტული ოლიმპიადის, სადაც მონაწილეობას იღებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები, რომლებიც (მინიფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, გეზრბენში, მაგიდის ჩოგბურთსა და მხიარულ სტარტებში) ეჯიბრებიან ერთმანეთს, გამარჯვებული კი რეგიონალურ და საქართველოს ჩემპიონატში იღებს მონაწილეობას.
- სპორტული ფესტივალი „სპორტი ბარიერების გარეშე“ – აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის 14-16 წლის გოგონები და დაჟები, რომლებიც: ფეხბურთში, კროსში, კალათბურთსა და ჭადრაკში ეჯიბრებიან ერთმანეთს, გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ ტურნირში და მიემგზავრებიან საზაფხულო ბანაკში ანაკლიაში.
- მინიფეხბურთის ტურნირი მოყვარულთა შორის ყოველწლიურად იმართება, სადაც მონაწილეობას იღებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის უბნები და სოფლის გუნდები, სადაც გამარჯვებულ გუნდებს სხვა პრიზებთან ერთად გადაეცემათ ფულადი პრიზიც.
- წარმოება-დაწესებულებების ტურნირი – აღნიშნული ტურნირი ყოველწლიურად ტარდება: მინი ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში, სადაც მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წარმოება-დაწესებულებები.
- „მოყვარულთა თასი ფეხბურთში“ – აღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ახორციელებს საქართველოს მოყვარულთა ფეხბურთის ფედერაცია, სადაც ჩართულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის გუნდი.
- „ხსოვნის ტურნირი“.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება რეგიონალური და ბორჯომის სარაგბო კლუბების დაფინანსება.

2.1.3 ა(ა)იპ – ბორჯომი ფეხბურთი 20 13

ქვეპროგრამის მიზანი: ბავშვთა ჩართულობა ბავშვთა ფეხბურთში.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერას, რომლის მიზანია ბავშვთა მაქსიმალური მოზიდვა და ჩართულობა.

2.1.4 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა (05 01 04)



ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების, გარე სავარჯიშო კომპლექსების და ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია (ქ. ბორჯომში, სანატორიუმ „მთის ხეობის“ მიმდებარედ, ნინოშვილის ქ. №1-ში, სოფ. დვირში, სოფ. ყვიბიში, ჩითახებში სოფ. რველში, სოფ. ანდეზიტში, ბემეთში და სოფ. ტიმოთესუბანში განხორციელდება სპორტული მოედნების მოწყობა. ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე, მესხეთის №23,31-ის მიმდებარედ, მესხეთის ქუჩიდან რობაქიძის ქუჩაზე გასასასვლელ ხიდათან, ქ. ბორჯომში გორგასალის ქუჩაზე, სოფლებში: ტაბაწყური, ჭობისხევი, მზეთამზე და დაბა ბაკურიანში, დაბა წალვერში მოეწყობა გარე სავარჯიშოები.

2.2 კულტურის სფეროს განვითარება (05 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადებას და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კულტურის სფეროს დაწესებულებები, როგორცაა ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლები და სხვა.

2.2.1 მუსიკალური სკოლის დაფინანსება (05 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსწავლეთათვის დაწყებითი მუსიკალური განათლების მიცემა, საფორტეპიანო, სიმებიანი, ვოკალური და ხალხური მიმართულებებით.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა კონტინენტის მიღებას, სამუშაო გეგმების, გაკვეთილების ცხრილების შედგენას და განხილვას, სასწავლო წლის ხარისხიანად წარმართვას და მისთვის აუცილებელი საკითხების ორგანიზებას. კრეატიული აზროვნების დანერგვა-მოწყობას, მოსწავლეთა მომზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური, ფოლკლორული და სხვადასხვა ჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში, კულტურული ღონისძიებების ჩატარებას.

2.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (05 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა: საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა.

• საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;

• საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგების, ელექტრონული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების სტატიების) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;



- საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;

- საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა, წიგნების პრეზენტაციების მოწყობა; შეხვედრები შემოქმედ ადამიანებთან, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მოწყობა მუნიციპალიტეტის სკოლების მასშტაბით; ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები. სხვადასხვა სახის კონკურსების ჩატარება, თემატური საღამოების მოწყობა მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკაში, მაღალმთიან სოფლებში (განსაკუთრებით ბალანთასა და ტაბაწყურში) გასვლითი ღონისძიებების მოწყობა, მობილური ბიბლიოთეკის ამოქმედება; შშმ პირების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა; წიგნადი ფონდის ციფრული კატალოგიზაციისათვის პროგრამის შექმნა და კადრების გადამზადება; ინვენტარის განახლება; სამეურნეო და საკანცელარიო ნივთების შეძენა; ზამთრის სეზონისათვის მომზადება.

2.2.3 ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (05 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა მიზნობრივ წრეებში, როგორცაა: ტიხრული მინანქრის, ფერწერისა და გრაფიკის, ხელნაკეთი თოჯინების და ქსოვის, ხეზე კვეთის შემსწავლელი წრეები, დაინტერესება ქართული ფოლკლორით როგორც მუსიკალური, ასევე ქორეოგრაფიული მიმართულებით. თეატრის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის, კიდევ უფრო საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული კურორტის სახით წარმოჩენა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ბორჯომის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობის ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნაში მონაწილეობის მიღება. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა.

სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ჩატარება როგორც კ/ცენტრში, ასევე ცენტრს დაქვემდებარებულ სოფლის კლუბებში, მოსწავლე ახალგაზრდობისა და წალვერის კ/სახლებში.

1. სილამაზის კონკურსის, მის ბორჯომი 2019-ის ორგანიზება – ღონისძიების ფარგლებში მოხდება ბორჯომსა და მის რაიონებში 20-25 გოგონას შერჩევა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში. ფინალში გასული გოგონები გამოვლენ საფინალო შოუში, რომელზეც მოხდება კონკურსის გამარჯვებულის და ორი საპრიზო ადგილის მფლობელის არჩევა და გამოცხადება ჟიურის მიერ. გამოცხადების შემდეგ შედგება გვირგვინის საზეიმო გადაცემის ცერემონიალი. კონკურსში მონაწილე გოგონები დასაჩუქრდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.

2. შემოქმედებითი საღამოს მოწყობა – ღონისძიების ფარგლებში იგეგმება გამოჩენილი მომღერლის შემოქმედებითი საღამოს ჩატარება, საღამოს გაამრავალფეროვნებს მოწვეული მომღერლების და შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლა.

3. მოწვეული თეატრების მიერ სპექტაკლების წარმოდგენა – მოხდება საქართველოში მოღვაწე თეატრების მოწვევა, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას და დაინტერესებულ საზოგადოებას წარმოუდგენენ ცნობილ ან



ახალ სპექტაკლებს.

4. საახალწლო ღონისძიებები – ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება საახალწლო გასართობი სპექტაკლი ცენტრთან არსებული თეატრალური სტუდიის მიერ. შექმნილი იქნება სხვადასხვა ტკბილეული საახალწლო საჩუქრებისთვის. ღონისძიება მოიცავს საქველმოქმედო მიზნებსაც. სპეციალურად შშმ ბავშვებისთვის ჩატარდება სპექტაკლი და გადაეცემათ საახალწლო ტკბილეულობა საჩუქრებად.

2.2.4 ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები (05 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი: ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების წარმოჩენა, შენარჩუნება, განვითარება და მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლება. ახალგაზრდების მხარდაჭერა, წახალისება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა. ტურისტებისთვის ქალაქის წარმოჩენა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოზარდი ახალგაზრდობისთვის და ზოგადად მთლიანი მოსახლეობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები:

1. ახალი წლის ღონისძიება ბორჯომსა და ბაკურიანში.
2. ბაკურიანობა 2019.
3. საქართველოს ჩემპიონატი მან-სან-კანში.
4. ქალთა საერთაშორისო და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა.
5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვადასხვა ღონისძიების მოწყობა.
6. კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა.
7. მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სასკოლო კლუბებს შორის.
